№ 2.



თორმეტი წელი შესრულდა
მუშის და გლეხის კავშირის.
დღითიდღე ახალ მწვერვალებს
იპყრობს საბჭოთა კავშირი.

მღვდელი, კულაკი, თავადი
და მათი ჯურის კრებული.
ბრაზით და შურით სისინებს,
ცოფსა ჰყრის გამწარებული.

მსოფლიო ბურჟუაზიას
გლოვად ქცევია დღენია,
წინ რომ მივდივართ, ვიზრდებით—
ღრინავს, ვერ მოუხვენია.

# ბედის ტრიალი




თავადობდა მალაქია
ჰყავდა სამი მას ლაქია.

ეხლა თითონ მალაქია
სხვისი გამხდარა ლაქია.

# საოქტომბრო

ხედავს მეთორმეტე
მიდის ოქტომბერი!
ლამის ბრაზმა მოკლას
ორგული და მტერი.
ზოგან კიდევ დარჩა
სულელი და შტერი,
თავში ნისლი უდევს
ტვინში ბზე და მტვერი..
გაკრეჭილი თხაა—
გაუშვია წვერი.
გულში თითქოს კიდევ
თავის დრო ჟამს ელის.
ურუანტელს გვრის ტანში—
გახსენება ძველის!
შე—ჩერჩეტო შენა,
ხედავ ვერვინ გშველის
ვეღარც წირვა-ლოცვა,
ვეღარც მადლი ღვდელის.
შეუკვეთე კუბო,
გაიმზადე ლოდიც.
ხედავ მეცამეტე
ოქტომბერი მოდის!
ხედავ მშრომელ ლაშქარს,
გამრჯე გლეხს და მუშას.
შენს გეგმებს და ზრახვებს
რკინის ხელით ფუშავს!
ველარ დაიბრუნებ
მამულსა და არშინს,
ვერაფერი გიხსნის—
და ვერ გადაგარჩენს!..
დროა რომ შეუდგე
საიქოს ლოდინს.—
ხედავ მეცამეტე
ოქტომბერი მოდის!

ტა—ლი.

# უებარი საშუალება

იყო და არა იყო რა, მზის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სოფელი სახელად წიფლიანი.

თუ რატომ ერქვა წიფლიანი, არავინ იცოდა —წიფლის ხე ნიმუშათაც არსად იყო მთელ უბანში... ასე კი ერქვა მაინც...

ერთის შეხედვით წიფლიანი სხვა სოფლებს ჰგავდა —სახლები იდგა, ხალხი ცხოვრობდა, მდინარეც ჩამოუდიოდა... მაგრამ იყო ერთი რამ, რაც ანსხვავებდა მრავალ სოფლისგან: მდინარეზე ხიდი ჰქონდა ისეთი, რომ მხოლოდ თავზე-ხელახებულ კაცს შეეძლო მასზე გასვლა. პირუტყვს ხომ ვერ გაიყვანდი და ვერა.

— გვეშინია!— ამბობდენ კამეჩები და ხარები,— ჩვენ დინჯი და მძიმე ცხოველები ვართ, ფრენა და ხტომა არ ვიცით, ამ ხიდზე კი სხვაგვარად გავლა შეუძლებელია!

რამდენჯერ არ მიმართეს გლეხებმა საბჭოს თავმჯდომარეს ეთავა ამ საქმის გაკეთება, არაფერი გამოვიდა... ენა გრძელი ჰქონდა თავმჯდომარეს, დაპირებებს ათასგვარს იძლეოდა, საქმით კი ცოტა ზარმაცათ გახლდათ.

— გაკეთდება, რა გეჩქარებათ! მდინარე არსად წავა!..

იცადეს თვეები. გავიდა წელიწადი. ბოლოს ასეთ ხერხს მიმართეს:

ერთ დღეს რამოდენიმე წიფლიანელი მივიდა თავმჯდომარესთან და სთხოვეს:

— ამხანაგური სადილი გვინდა გავმართოთ... პატივი გვეცი, გვესტუმრე!

თავმჯდომარესთვის მეორედ თხოვა საჭირო აღარ გახდა. მოახლოვდა თუ არა სადილობის დრო, პირველი მივიდა დანიშნულ ალაგს, სადაც პურისჭამა უნდა ყოფილიყო.

გაიმართა სმა-ჭამა დიდათ შესარგი. ყველაზე მეტს თავმჯდომარე ლაპარაკობდა... რა არ სთქვა, რას არ დაპირდა სოფელს!

— რას მიქვიან ხიდის შეკეთება! ხიდი კი არა, სასახლეები უნდა ავაგო თქვენთვის!— იკვეხნიდა ზომაზე მეტად ჩამბალი თავმჯდომარე.

შუაღამე ახლოვდებოდა, როცა თავმჯდომარე „პრტყელი" რეჩით დაემშვიდობა მასპინძელ- მეზობლებს, შეახტა ლურჯას და სახლისკენ გზას გაუდგა.

ღიღინით მიიჩქაროდა სახლისკენ და სოფლის კეთილმოწყობის მრავალ გეგმებს ატრიალებდა თავში. ტკბილი ოცნებით გატაცებულმა ვერ შეამჩნია, როგორ შებაკუნდა ხიდზე ცხენი.

ხიდის შუა ადგილას ლაფში უეცრად შეჩერდა.

— რას გაჩერდი, შე სამგლე! შეუტია თავმჯდომარემ.

ცხენი მაინც არ ირყეოდა. გადაუჭირა მათრახი. ცხენმა მხოლოდ გააქნია გავა, ფეხი კი არ გადაუდგამს. რამდენი არ აგინა, ურტყა, არაფერმა უშველა. გაბრისხებული თავმჯდომარე გადმოხტა, ალვირს ხელი მოჰკიდა და გაუძღვა ცხენს. მაგრამ გადადგა თუ არა ნაბიჯი, უეცრად იგრძნო რომ ნიადაგი გამოეცალა. ერთი წუთიც და ჩვენი თავმჯდომარე მდინარეში ჩაყურყუმალავდა.

— მიშველეთ!— ბღაოდა თავზარდაცემული.

მეზობლების ჯგუფი, რომელიც დიდიხანია ხიდის ახლო დარაჯათ იდგა, რადგან თავმჯდომარის წყალში ჩავარდნის წუთს უცდიდა, მდინარისკენ გაექანა.

— აცალეთ, ცოტა კიდევ შეყლაპოს წყალი!— რჩევას იძლეოდა ერთი გლეხი— თითონაც გამოსცადოს როგორ ვწვალობთ უხიდოთ!

— გასჭრა ჩვენმა ხერხმა! ტყუილად არ ჩაგვიარა სადილმა! — უხაროდათ წიფლიანელებს.

თავმჯდომარე ამოათრიეს. რამოდენიმე დღის შემდეგ თავმჯდომარის მეთაურობით ხიდის შეკეთებასაც შეუდგენ.

ეხლა წიფლიანელებს ისეთი ხიდი აქვთ, რომ კამეჩებს ზედ ლეკურის თამაშიც შეუძლიათ... მე თითონ ვნახე ერთი ბებერი ხარი დავლურს როგორ უვლიდა!

ფიშტო.

# კოოპერატივში

— ამ დანას ასე ძვირად რათ ჰყიდით? ასეთი დანა ქალაქში ექვსი შაური ღირს!

— მართალია, მაგრამ ქალაქიდან აქ მოტანა უნდა, თუ არა?!

— მოტანა რამდენი უნდა დაჯდეს!.. სამ კაპეიკზე მეტი ხომ არ იქნება? თქვენ კი ერთ დანას სამ აბაზადა ჰყიდით...

— მაშ გამიგონე რაც გითხრა და მიხვდები, რომ იაფათაც ვყიდით: სამი კაპეიკი მოსატანი... ორი შაურიც გამგეობის შესანახი... ეხეც შენი ორი აბაზი და სამი კაპეიკი. ხუთი ფუთი შაქარი დაგვაკლდა წონაში,— ამისიც ორი შაური იანგარიშე და გამოვა ათი შაური და სამი კაპეიკი. დარჩა კიდევ რაღაც შვიდი კაპეიკი... ძველმა თავმჯდომარემ რომ ფული გაფლანგა, ეს როგორა გგონია, ვინ უნდა აანაზღაუროს? ახლა კიდევ ახალ თავმჯდომარეს მოესწრო გასათხოვარი ქალი,— იმას გათხოვება უნდა, თუ არა?! მე, რას ამბობ— ძვირად კი არა, იაფათაც ვყიდით! მთიელი.

# აჯაგსანდალი

ტაში ბიჭო, აბა ტაში,
ქარი მიქრის ძმაო თავში.
დილით ხაში,
დღისით სმაში.
მთელი ეპო მიგაქვს სახლში.
ვირთაგვები ხტიან დახლში.
აბა ერთი დაუარე,
ქარი მიქრის მაინც თავში.
შეხეთ ერთი ამ ჩვენ კულაკს,
გადამალა პური ბაღში.
ბოლოს მაინც ჩავარდება
ულტიმებს ცოტა ჭკვაში.
დიპლიპიტო, ტაში, ტაში,
ჯორი დარჩა ჩვენ მღვდელს გზაში.
სამკითხველოს შენობაში
სწვიმს და სეტყვავს როგორც
კარში.
აი საბჭოს თავმჯდომარეს
ყურძნის წვენი გადაუკრავს,
დავლურს უვლის, ტაში ბიჭო,
საზანდარი თავში უკრავს.
ინდაურმა გასჭრა მგონი,
მოწმობაზე ურტყავს ბეჭედს
ჩვენი მღვდელიც გაიკრიჭა
შესდგომია ახლა მეჩეთს.
დიაკვანის მასწავლებლობს
და სოფელში ამბობს „რეჩებს",
ტაში ბიჭო, აბა ტაში.
ზარია და ზურნა თავში.
ფოფოდია ნოქარს ყვარობს,
და ფართალი მიაქვს სახლში,
აპარატის წმენდა მოდის
სოფელში კი სხედან უქმად.
გამფლანგველმა უცაბედად
გააცოცა ტკბილი ლუკმა.
მემამულე გამგეთა გვყავს,
ბოქაული გვიზის ნოქრათ...
კუჭი ჭამით ლამის გასქდეს—
უხარია ბიუროკრატს.
აბა ბიჭო ტაში, ტაში,
ბირია საქმე თავში..
ერთი მაგრა შოლტი მაგათ!
გამოვრეკოთ ყველა გზაში...
მერე ვნახოთ ამ წამალმა,
ბრამზაღებს თუ რა უქნას...
შოლტი... მაგათ, ნახავ როგორ
დაუვლიან კოხტა ბუქნას!

შოლტიანი,

## „უსწავლელია"

— წერა არ ვიცი, შენი ჭირიმე...
— განა არსად გისწავლია?
— როგორ არა, შარშან წერა-კითხვის სკოლა გავათავე!..

## თადარიგის კაცი

— ცაცო, რათ გინდა მარხილს რომ აბამ? ჯერ ზამთარი არ დამდგარა და თოვლი არ არის!
— საკრედიტო ამხანაგობაში მივდივარ სათესლე ხორბლისათვის და სანამ მივიღებდე, ზამთარიც მომისწრებს...

# სამი შანდლის თავგადასავალი



ქვეყანას ფლობდა სამი შანდალი
—ეს უგემური აჯაგსანდალი.



შანდლებს უყვარდა ოქრო და ვერცხლი,
ერთ დღეს სამივეს გაუჩნდა ცეცხლი.



დაბოლოს დადნა სამივე შანდალი,
როგორც ყინულის მთა შარშანდელი.



მოძრავი კინო სოფლისაკენ მიჰქრის.
გზა დაუცალეთ, — ხედავთ იჩქარის!

## არც ისე ძველი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ოჯახი. ცოლი და ქმარი. ჰყავდათ ერთი ვაჟი. სახელად **ვანო**. ჭკუით უმგვანო, სულით ბოგანო. თავში ჰქონდა რეტი, ყურები მტკაველზე მეტი.

გაიზარდა ვანო დიდი. სამსახურისდრომ მოაწია. აჰქაჩა **მამამ** ყურებში— სწია, სწია, მაგრამ კაცობაში ვერ ამოსწია.

გაიზარდა ვანო დიდი. სამსახურის დედა მამას: სწიეს, სწიეს — ვერ ამოსწიეს.

გადაუძახა დედამ **ნათლია ეფროს** —ეს ქალი იცნობდა კანცელარიის ერთ უფროსს.

ჰქაჩავს ვანოს მამა, მამას დედა, დედას ეფრო— სწიეს, სწიეს, მაინც ვერ ამოსწიეს.

გადაუძახა ეფრომ **მეგობარ დაროს**, რომელსაც ტრესტის გამგე ყავარობს.

ჰქაჩავს ვანოს მამა, მამას დედა, დედას ეფრო, ეფროს დარო — სწიეს, სწიეს, არ იქნა, ვერ ამოსწიეს.

ინახულა დარომ ტრესტის **გამგე საჩინო**, გამოართვა **ბარათი საჭირო**, თვალსაჩინო.

გადაუძახეს **ბარათს** და მიეშველაც ბარათიც.

გაჰქაჩა ბარათმა დარო, დარომ ეფრო, ეფრომ დედა, დედამ მამა, მამამ ვანო — სწიეს, სწიეს, და კიდეც ამოსწიეს.

დიდი კაცი შეიქნა ვანო თავ-რეტი.
ეხლა მას საკუთარიც აქვს კაბინეტი.
უბრალო მომაკვდავს ახლოს არ იკარებს.
ნაცნობი წარწერა ამშვენებს მის კარებს:
— წაიკითხავს ყველა, ვინც თვალხილულია:
— „დაუკითხავად შესვლა აკრძალულია“!.

ბელტი.

## ქაცის გამოსაცნობი საშუალება

**ხელი** თუ დიდი და გაშლილი აქვს, იცოდე რომ ის ან ლვდელია, ან მექრთამე.

**ხმა** ვისაც დიდი აქვს,—ის თავმჯდომარეა. ვისაც დაბალი ხმა აქვს— მთხოვნელია. ხოლო ხმა თუ სრულიად არა აქვს— ის ან კულაკია, ან ვაჭარი, ან ძველი მემამულე.

დ—ო.

## ვითომ და ესეც თავის მართლებაა

— არა გრცხვენია, პარტიული კაცი ხარ და სახლში კედლებზე ხატები გიკიდია?!.

— რა უყო ძმაო, ხატები დედაჩემს ეკუთვნის და ახლოს არავის ჰკარებს. წარმოიდგინე, ნებადაურთველად პირჯვარსაც არ მაწერინებს.



— რაო? რევოლუცია? მათრახები მოენატრათ?

— ეს რა ხათაბალა ხალხია?! ხედავთ, აღარ -ჩხოზიან!

— მე არ მინდა პროლეტარული რევოლუცია? არ გესმით?!

— დამღუპეს, გინ ხარ მშველელი!!!

— თუ რა გუნებაზეა ეხლა, ამის შესახებ ცხვირიც ნათლად ლაპარაკობს.

# უცხო სიტყვების ახსნა

**პროტექცია** — ფერ- უმარილით შეგლესილი ქალბატონი, რომელიც ჩვენს დაწესებულებებში ხშირად დაბრძანდება სხვადასხვა საჭირო საქმეებზე.

**ბიუროკრატი** — მოხელე, რომელიც ქალბატონ პროტექციას ეარშიყება.

**აგრონომი** — ზოგიერთი სოფლის იშვიათი სტუმარი.

**კულაკი** — დათვის მაგვარი მტაცებელი ნადირი, რომელიც პურს მიწაში მალავს, — ანუ ცხოველი, რომელიც თივაზე წევს, არც თვითონ სჭამს, —არც სხვას აჭმევს.

**ფინაგენტი** — გამსახლისათვის გამზადებული თანამდებობის კაცი. სიტყვა მოლარე-ც ამასვე ნიშნავს.

**ნოქარი** — ჰქვია კოოპერატივის თანამშრომელს, რომელიც ფართლეულს მხოლოდ თავის ნათესავ-მეგობრებს აძლევს.

**წითელი სასადილო** — სავაჭრო, სადაც წითელი ღვინო იყიდება.

**სახარება** — მღვდელ-დიაკვნებისაგან მოგონილი ტყუილი ამბები.

**აპარატის წმენდა** — საბჭოთა დაწესებულებებიდან ნაგვის გამოტანას ნიშნავს.

**„შოლტი“** — ჟურნალს, რომელიც ყველა გლეხის ოჯახში უნდა იყოს.

მარდი.

## ანგარიშის გაკვეთილი

(გამოდგება სკოლებში სახელმძღვანელოთ)

I.

კოოპერატივის გამგე ნიკო დაიბადა 1881 წელს და ეხლაც ცოცხალია. დღემდე დრო ასე უტარებია: სიცოცხლის მესამედი მივლინებებში იყო, მეოთხედი — ქეიფში და ლხინში, დანარჩენი —ზედნადები ხარჯების წერაში.

საკითხავია: რა ღირს ამ დუქანში კილო ლუერსმანი და კიდევ რამდენ ხანს იქნება ნიკო კოოპერატივის გამგეთ?

II.

ორღობეში გავლისას ერთ კაცს დაედევნა 9 შავი ძაღლი, 6 თეთრი და დანარჩენი ნაცრისფერი.

საკითხავია: რამდენი იყო სულ ძაღლი და რომელ ფეხზე უკბინეს — მარცხენაზე, თუ მარჯვენაზე?

III.

სოფლის კლუბში წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულიყო, როცა ოცდა-ათი კაცი გარედ გამოაგდეს ჩხუბისთვის.

თუ კი ოცდა-ათი იყო მოჩხუბარი, საკითხავია: რამდენი იყო კიდევ დარბაზში ცემა-ტყეპის ხასიათზე, ზომაზე მთვრალი, გალეშილი, მაგინებელი და ახალ აყალ-მაყალის დაწყების გუნებაზე?

კიკო.

# მოჰვისმინეთ--დაგვადგინეთ

სოფ. ოფნიანის ლიკპუნქტის გამგე რეკიაშვილი აკეთებს მოხსენებას წერა-კითხვის შესწავლის საჭიროების შესახებ.

— ამხანაგო გლეხებო,—ღრიალებს გამგე, —დაიხსომეთ, რომ სწავლა-განათლება ჩვენი ცხოვრების ჩირაღდანია, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. ამის შემდეგ ადვილად მოვსპობთ სოფლის ყველა ნაკლს. ეხლა გთხოვთ მომცეთ შეკითხვები მოხსენების ირგვლივ...

— სიტყვა მე მომეცით—წამოიძახა კოოპერატივის ნოქარმა, ბარბაცით მივიდა მაგიდასთან და დაიწყო:

— ამხანაგებო.—სთქვა პრიჩკამ—რამოდენებაში, ახსენა, რომ ცუდი გზები გვაქვს. ამაში მთლიანად ვეთანხმები,—როდემდის უნდა ვიმტვრიოთ თავპირი გავერანებულ გზებზე? რატომ არ ზრუნავს საბჭო გზების შეკეთებაზე?

— მართალია, მართალი—წამოხტა მ ემსი ქიტესა,—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კოოპერატივის ნოქარი არსებითად არ შეეხო მოხსენებას, რადგან ცოტა გალაკრულშია, მე მაინც ვუერთდები მას წყაროების საკითხში; თქვენ კარგათ იცით, რომ საქონელს წყალი სჭირდება. სამოვრებზე კი ჩვენ წყაროები არ მოგვეპოვება—ამაზე უნდა იზრუნოს ჩვენმა საბჭომ.

ქიტესას შემდეგ გამოვიდა დაბალი, მორგვალებული, შუახნის გლეხი, რომელსაც სოფელში მეტსახელად „პრიჩკა“-ს ეძახდენ.

— ამხანაგებო.—სთქვა პრიჩკამ—რამოდენიმე დღის წინ ჩემი მეზობლის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. აქვე სოფელში თუ არა—სოფლს გარედ მაინცა გვაქვს მდაზე წყარო



დიაკვანი: — კოოპერატივში რევიზია ყოფილა. ხედავ, გამგე მუხლმოდრეკილი ღმერთს ევედრება.

და ამით შეგვეძლო ჩაგვექრო ცეცხლი. მაგრამ რით უნდა გვეზიდა წყალი? სახანძრე ბოჭკები თოხი თვეა ალმასკომის ეზოში უწყლოთა ყრია მზეზე და სულ მთლად დაშლილია—ჩვენი თავმჯდომარე კი ყურსაც არ იბერტყავს; წყაროები აუარებელიც რომ გქონდეთ, თუ ბოჭკები არ გქნათ, ცეცხლს ვერ ჩააქრობთ.

— ამხანაგებო,—წამოიძახა კომუჯრედის მდივანმა,—თქვენ სულ მთლად გადაუხვიეთ მოხსენების მთავარ აზრს. რა შუაშია გზები, წყაროები ან ხანძარი, როდესაც ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარობაზე გვქონდა ლაპარაკი; სახანძრე ბოჭკებზე თუ უთითებთ ალმასკომის თავმჯდომარეს, რატომ სალეწ მანქანაზე არაფერს ამბობთ, რომელიც აგერ მეორე თვეა მინდორში გდია და ჟანგდება? საკრედიტო ამხანაგობა ხელდაკრეფილი ზის და გულგრილად შესცქერის ამ უბედურებას.

ორსაათიან კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

—„ მოვისმინეთ რა სოფ. ოფნიანის გლეხთა საერთო კრებაზე ამხ. რეკიაშვილის მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ—ვადგენთ: მომავალ გაზაფხულს შეკეთდეს სოფლის გზები, გაყვანილი იქნეს სამი წყარო, შეძენილ იქნას სახანძრე ბოჭკები და გაკეთდეს საკრედიტო ამხანაგობასთან ფარდულები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესანახავათ“.

ჭინკა.




— კოოპერატივში ყოფნით კილამ შიმშილისაგან მოვკვდით. იქ რა გვინდოდა? ხომ ხედავ ნოქარს მთელი ავლა-დიდება თავის სახლში გადმოუტანია!

## სიზმრის ახსნა

კაპასი ცოლი გეყრებოდეს სიზმარში— კეთილად აგისრულდეს.

**კულაკი ნახო** სიზმარში, — ჭირნახული დაგეწვას.

**გაკრეჭილი თხა გიტევდეს** — სოფელში ყოფილი მღვდელი დაგინიშნონ მასწავლებლად.

**გასუქებული ღორის** ნახვა — ვაჭრის სიკვდილსა ნიშნავს.

**სიზმარში** თუ ალმასკომის თავმჯდომარე გეჩხუბოს, ინდოური დაუკალ — კეთილად აგისრულდება.

**აგრონომს** ესაუბრებოდე — არ შეგეშინდეს, კარგი მოსავალი გექნება.

**წერა-კითხვას** სწავლობდე სიზმარში — თქვენი სოფლის მღვდელი გარდაიცვალოს.

**ნავთზე** მიხვიდე კოოპერატივში — სიზმარი კეთილია, ნავთის მაგივრად ადეკალონი, ან დუხი მოგყიდონ.

უკეთუ კულაკმა სიზმარში პურით სავსე ორმო ნახა — დაპატიმრება არ ასცდება.

„შოლტის“ გამოწერა სიზმარში — მთელი წლის მხიარულებას ნიშნავს.

შავი.

## გამოსავალი იპოვეს

— კაცო, თუ საერთო კრებაა, ეს მთელი ხალხი სცენაზე რატომ არის?!

— ყველა დამსწრე პრეზიდიუმში ავირჩიეთ, რომ კრების გათავებამდე სახლში არავინ გაიპაროს.

## ზოგისთვის სძინავს, ზოგისთვის ღვიძავს

— შეიძლება გამგე ვნახოთ?

— გამგეს არა სცალია, — სხდომა აქვს!

— მე სარევიზიოთ ვარ მოსული, — გამოუძახეთ!

— სარევიზიოთ? — მობრძანდით, ეხლავე გავაღვიძებ!

## ვის რა სტკივა-იმას სჩივა

ნათავადარი—
ყველაფრიდან გავბითურდი,
ჭირი მაწევს ჭირზე,
მამული გლეხებს გადასცეს—
მე კი შემსვეს ვირზე!

ბობოლა—
კარგა ხანია ღიმილი
აღარ მომდის პირზე,
სოფელს ველარ ვათამაშებ,
ვით წინად, ჩემ სტვირზე!

ჩარჩი—
კოოპერატივი მაზის—
მეჭეჭად ზედ ცხვირზე;
უქთად ველარაფერს ვიგდებ
და ვერც ვყიდი ძვირზე!

მღვდელი—
ღვთით ვლარავის ვატყუებ—
დრომ კი დამამდაბლათ,
ანაფორა გამიხუნდა—
მენატრება ტაბლა!

ფოფოდია—
შიმშილით მეცილი მეწვის—
ვიყურები დაბლათ...
ჯავრისაგან ლამის გავსკდე
და დამეცეს დამბლა!

დიაკვანი—
ხურჯინში არ მეტეოდა
სამღვთო, ზურგიელით;
ფოფოდიავ მსხვილ-მსხვილ ბარქალს
ახლა ნულარ ელი!..

მკითხავი—
თქვენ დამბმარედ ვინა გყავდათ,
თუ არა მკითხავით?
იშმაკობა მეც გამიგეს—
არ მყავს გამკითხავით!

ექიმბაში—
შემოსავლით თქვენში, ვგონებ,
არვინ მყავდა ტოლით;
ისე „აწამლობდი“, რომ ბევრ გლეხს
ავუტირე ცოლით!..

ჟელა—
ღლეს კი თვალი აეხილათ—
პანლური გვკრეს ჩვენათ;
გლეხებს აღარ უნდათ ახლა
თქვენი ვისმეს მრჩენათ!

თრბა.



## კომკავშირელი ულაყი — ძმა გადაარჩინა კულაკი

ვანში მცხოვრები კულაკი დავით ახვლედიანი ეს ორი წელია ზედიზედ გადაურჩა ინდივიდუალური წესით დაბეგვრას. მას მფარველობს კომკავშირელი ძმა—ვახტანგ ახვლედიანი..

რადგან ძმისათვის მოქცეულა ბიჭი „გმირულად“,—უნდა მოვცხოთ მას პირდაპირ კომკავშირულად. რაც შეეხება თვითონ დავითს, მასთან ვერაფერს გავაწყობთ დავით: ამბობენ „ჭკვიანი“ კაცია—ეხრხება კომბინაცია... მას დავადოთ გადასახადი მაგარი, — კომკავშირიდან კი მოვიშოროთ ნაგავი...

## შეჯიბრება სმაში — დაჯდომიათ ჭკვაში

ლაილაშის საბჭოს თავმჯდომარე, 7 წლედის გამგე, ქოხ-სამკითხველოს ხელმძღვანელი, განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომის მდივანი და სხვა „მოწინავე“ პირები—დღე და ღამ ლოთობენ...

ეტყობა ამ „მოწინავე“ პირებმა—ახე გაიგეს სოციალისტური შეჯიბრება და რაკი ერთხმად გასდგომიან საქმეს, სხვა რა გზაა, უნდა მივმართოთ სახრეს. მაგრამ ამ ხალხს თუ მოეშალა ტვინის უჯრედები, სად არის პარტიის უჯრედი? ისაც ხომ არ გაუდგა პარტიას და არ ათამაშებს ღვინით კვარტიანს? საოლქო პარტკომს მაინც იქნება—არ გაუშვირდეს ამ ხალხის მიგნება!

## ხდება ისე, რომ გვარდიელსა და მიკიტანს—ბედი კოოპერატივამდე მიგიტანს

მუხრანის ეპოში მთავარ განყოფილების ნოქრად ბრძანდება პეტრე ტყებუჩავა. ის ნიკოლოზის დროს თავად მუხრანსკის მოურავად იყო. მენშევიკების დროს მსახურობდა გვარდიაში, შემდეგ კი სამიკიტნო ჰქონდა.

ეტყობა გამგეობამ განგებ—დააყენა ის მთავარ განყოფილების გამგედ, რადგან ათას საქმეში ნაცადს—მას სოვლის ყველაზე ჭკვიან კაცად... ან კიდევ ეს გამგეობამ მიტომ ინება, რომ ტყებუჩავას ემარჯვება გლეხების გინება?! დროა მუხრანის ეპოს—ამდენი თავგასულობა ეყოს!

## ექიმბაში წუწუნებს — თავისთავს მოქმედებას უწუნებს

ათეულ წლობით ვეწეოდი ექიმბაშობას, მაგრამ ბოლოს მივხვდი რა საზიზღარ საქმეს ვაკეთებდი ხალხის წინაშე და ამა წლის იანვრიდან მაზე სრულებით ავიღე ხელი...

ოლღა ჩუბინიძე.

რამდენი არის მისი ხელით სენით ნაშობი, ან რამდენი დაუღუპავს ექიმბაშობით; წამლის მაგიერ რამდენს ასვა აგურის წვენი—და ეხლა ნახეთ როგორ გალობს ბულბული ჩვენი! როგორც ამბობენ ზოგ ავადმყოფს ის დღესაც არჩენს,—ცბიერი მელა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

## ასეთ მასწავლებლის ყოლას—სულ მთლად დავხურავდი სკოლას

ბოსლევის 7 წლედში მასწავლებლობს ვინმე კაპანაძე, რომელსაც არავითარი ცოდნა არა აქვს. ეს ვაჟბატონი პარტიიდანაც გარიცხეს როგორც ინტრიგანი, მევახშე და სამღვდელოების მეგობარი...

ასეთ მასწავლებელს როგორ უნდა ჩააბარო ბავში, როდესაც თვითონ არაფერი უყრია თავში? მას ვერ უშველის შოლტის მოცხება—ვიდრე მთლად არ გაიცოცხება!

# საგარეჯოს ამბები

### ლირსეულად დააწინაურეს

— რათ მოხსნეს ალმასკომიდან?

— ამბობენ, ფული შემოაკლდაო...

— მაშ საკრედიტო ამხანაგობაში რაღათ დანიშნეს?

— აქ უფრო მეტი სახრავია და დააწინაურეს!

### ადვილად გამოსაცნობია

ცხრაწლედის მოწაფემ თავის ამხანაგს ასეთი გამოსაცნობი კითხვა მისცა:

— სად არის ისეთი მასწავლებელი, რომელიც ჯგუფში თვეში ერთხელ თუ შეიხედავს, თითქმის სულ ტფილისშია და ადგილკომი საკინკლაოდ ასპარეზად გაუხდია?

— ეგ რა ძნელი გამოსაცნობია! ვინ არ იცნობს საშა მასწავლებელს?!

### ჯადო—ბარათი

— რაღა შორიდან მოგიყვანიათ კაცი? განა საგარეჯოში ისეთი კაცი არ აღმოჩნდა, რომ საკრედიტო ამხანაგობაში მოანგარიშეთ ვინ მომდგარიყო?

— ჩუმად! რაებს ამბობ! განა არ იცი, რომ ჩვენ კი არა, „დიდი კაცის“ ბარათმა მოგვიყვანა?!

### ახალი ამბები

— დაარსდა ცემა-ტყეპის მოკლევადიანი კურსები მოქ. ლო-ძის თაოსნობით.

— სოფ. ხაშმში საბჭოს თავმჯდომარე ამანანიშვილმა საბჭოსთან მოაწყო ლანძღვაგინების კურსები.

— ფულების გაფლანგვაში გამოცხადებულია შეჯიბრი. გამარჯვებულნი—ბალდადაშვილი, დურგლიშვილი და სხვები დააჯილდოვეს ისეთ სამუშაოზე გადაყვანით, სადაც ფული მეტია.

წიწაკა.



— ღმერთო, ამ წმენდას გადამარჩინე, მერე კი აღარც ვილოთებ, აღარც ვიზარმაცებ და შენი პატივისცემაც ჩემს კისერზე იყოს...

— შენი იმედით რომ ვიყავი, სწორედ იმან დამღუპა! აბა, ჩიილე, რასაც დაგპირდი.

# მორჩებოდა?

ჯერ კიდევ მზე მაღლა იყო, როცა ალექსა ყანიდან შინ დაბრუნდა.

— ქალო!—მიაძახა ალექსამ ცოლს დაროს, რომელიც ბოსტანში მუშაობდა—მომხედე, მომიარე... სულს ვეღარ ვითქვამ... გული მეწვის, მუცელს ცეცხლი ეკიდება!

ჩაწვა ალექსა ლოგინში. სიცხემ წითლად გამოანათა მის სახეზე. ბორგავდა, ვერ ისვენებდა, ბოდავდა.

შეშინებული ცოლი სასოწარკვეთით დაჰყურებდა გონება დაკარგულ ავადმყოფს და სანახავათ მოსულ მეზობლებს სთხოვდა:

— მიშველეთ, ჩქარა ექიმი მომიყვანეთ!

— გადაირიე ქალო? ექიმი რათ გინდა! ვერ ატყობ, მუცლის ალხია ?- ისეთი წამალი მოგცე, უცბად ფეხზე დააყენოს!—დაამშვიდა დარო მოხუცმა დედაკაცმა.

დედაბერმა იმავე საღამოს მოიტანა შუშით ყვითელი ფერის რაღაც ღვრიე წამალი და ავადმყოფს პირში ჩაასხეს.

ღამით ალექსა დიდხანს ბოდავდა. დილით უკეთ იგრძნო თავი და გამოიხედა კიდეც.

— უშველა, გენაცვალე, ჩემმა წამალმა უშველა! რომელი ექიმი მაჯობებს?—იკვეხნიდა დედაბერი.

— კიდო დავალევინოთ?—შეეკითხა გახარებული დარო.

— ჯერ არ უნდა!—რჩევას აძლევდა დედაბერი,—თუ საღამოთი ფეხზე არ წამოდგა, დესპინე მოიყვანე და გამოალოცვინე. სიტყვას გაძლევ, არა თუ მორჩეს, ათას წელიწადს ფრჩხილიც არ ასტკივდეს!..

ხაღამოს ალექსას ბოდვა ისევ დააწყებინა.

— არა უშავს რა!—ამშვიდებდა შინაურებს საჩქაროდ მოყვანილი დესპინე—თვალნაკრავია, ამისაგან ვაჟკაცს არ გაუჭირდება! ერთი გამოლოცვა და წავა ეშმაკი სხეულიდან, ასეთები მომირჩენია?!

დესპინემ მოითხოვა გობი, საცერი, ცერცვის კაკლები და წმინდა სანთელი.

როცა ყველაფერი ეს მოუტანეს, დესპინე შელოცვას შეუდგა. შელოცვა ჯერ გათავებული არ ჰქონდა, როცა უეცრად წამოდგა და დაროს მიაძახა:

— ათი ვერცხლის აბაზიანი მალე!

აბაზიანები მოიტანეს. დესპინემ ვერცხლი საცერზე დაჰყარა, სამჯერ შემოავლო ავადმყოფის ტანს და ამის შემდეგ ლოცვაც მალე დაასრულა.

— ათას წელიწადს ფრჩხილი არ ასტკივდება!—დაამშვიდა დესპინემ დარო—ჩაიხედე საცერში!

დარომ საცერში დაინახა მხოლოდ ცერცვის კაკლები. აბაზიანები აღარ იყო.

— ეშმაკმა წაიღო, მისი ვალი გმართებიათ!—აუხსნა დესპინემ,—კარები გაუღეთ, წავიდეს!

მთელი ღამე ღიათ დასტოვეს კარი, რომ ეშმაკი წასულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, წყეული ჯერ კიდევ არ აპირებდა წასვლას, რადგან ავადმყოფი ისევ ბორგავდა და საშინლად ოხრავდა.

როცა მესამე დილით ალექსა უფრო უარესად გახდა, დარომ ისევ მოიხმო დესპინე.

— არ წავიდა?!—გაკვირვებული იყო დესპინე—დახე იმ წყეულს!

სცადეს ღვდლისგან ნაკურთხი წყლით ავადმყოფის მოსხურება, შემდეგ თითონ ხუცესი მოიყვანეს და ალოცვინეს, მაგრამ მაინც არ დაადგა საშველი ალექსას.

— მივხვდი, ეხლა მივხვდი! ეგ უბრალო ეშმაკი კი არა, მათი მთავარი იქნება!—ირწმუნებოდა დესპინე,—მაგას მე ვერაფერს ვუშველი... მისი გამოდენა მხოლოდ ზეხათუნას შეუძლია... აი ის გრძნეული დედაკაცი რომ არის, მეზობელ სოფელში, ვაშლოვანში!..

ვაშლოვანში კაცი აფრინეს... ზეხათუნი ისეთი ხნიერი აღმოჩნდა, რომ მის წამოყვანაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ბჭობა გამართეს, მოილაპარაკეს და არჩიეს თითონ ავადმყოფი წაეყვანათ.

დააგდეს-ურემზე ცოცხალ-მკვდარი ალექსა და გზას გაუდგენ ვაშლოვანისაკენ.

მირიხინობს ურემი ორღო-ჩორრომებში... ხტიან გოგრები ქვიდან ქვაზე... ხან მარჯვნით დაქანდება ურემი, ხან მარცხნით. ქანაობს ავადმყოფის თავი სარეკელასავით.

— ვაიმე!—გაისმა ალექსას კვნესა.

— გაუძელ! გაუძელ! მალე მივალთ!—ამხნევებენ ჭირისუფლები და დესპინე.

შუა გზას რომ მიუახლოვდენ, მეზობელი გლეხები შემოხვდათ.

— ხალხო, რამ გაგაგიჟათ, სად მიგყავთ? ექიმი სოფელში გყავდეთ და ვიღაც დედაბერთან მიათრევდეთ მომაკვდავს, სად გაგონილა!—მიცვივდნენ გლეხები ჭირისუფლებს.

— არ დაუჯერო, არ დაუჯერო ჩემო ნათლიმამა!—ურჩია დაროს დესპინემ,—მაგათი პირით ეშმაკი ლაპარაკობს!

გადეწეს ხარები, ისევ არიხინდა ურემი. ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ჭალებს ეხეთქება ალექსას თავი.

— ვაიმე! მიშველეთ!—სიმწრით წამოიძახა ავადმყოფმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, როცა დაღმართში ხარები გაექცენ და ურემმა ქვებზე კიდამ მაღლაყიას გადახვლა იწყო.

— დიდება შენს სახელს ღმერთო!—აატატანა დესპინემ ხელები—ხედავთ რა სასწაული ხდება? ლაპარაკის გუნებაზედაც მოვიდა! გრძნობს, რომ ზეხათუნის სახლს მივუახლოვდით! ჭეშმარიტად დიდი ძალა აქვს იმ ღვთისნიერ დედაბერს!

ღვთისნიერმა უკბილო დედაბერმა, რომელმაც აგერ როდესღაც გაიგო თუ რისთვის მოვიდენ მასთან, ჭირისუფლებს მიჰყიდა რაღაც ჩვარი, რომელსაც მისი აზრით სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა, გაატანა კიდევ სახელდახელოთ გაკეთებული წამალი და გაისტუმრა უკან.

როცა დაღამებისას შინ დაბრუნდენ, ალექსა ურმიდან ცოცხალ-მკვდარი გადმოიტანეს. ავადმყოფი ხმას აღარ იღებდა. აღარც კვნესოდა, აღარც წყალს ითხოვდა.

— ეშველა!—დარწმუნებით ამბობდა დესპინე—ხვალ ფეხზე წამოდგება. ცოლიც შენისთანა უნდა! მართალია, დიდათ გაისარჯე, დიდათაც დაიხარჯე, მაგრამ ქმარი სიკვდილს გადაარჩინე, ათას წელი, თუ აღარაფერი ასტკივდება!

ღამემ დამშვიდებულად გაიარა. ალექსას არა თუ აბოდებდა, ერთხელაც არ დაუკვნესია. დახედეს: დამშვიდებული სახე ჰქონდა, ალბად სძინავს—იფიქრეს და თითონაც დაიძინეს.

— აცალეთ, იძინოს, გამოშუშდეს—ეუბნებოდა დესპინე დაროს, რომელიც მეორე დღეს შიშმა აიტანა იმის გამო, რომ ქმარი დიდხანს აღარ იღვიძებდა.

ხაღამომდე უცადეს. როცა არც დაღამებისას გამოიღვიძა ალექსამ, მაშინ შეეჭვიანდენ, დახედეს, გაარყიეს და მიხვდენ, რომ ვეღარასოდეს გამოიღვიძებდა.

— იმითი მაინც შეგიძლია ინუგეშო თავი,—ამშვიდებდა დაროს დესპინე,—რომ ყოველგვარი ზომა მიიღე საწყალ ალექსას გადასარჩენად. ბარაქალა შენს ქალობას! შენი რა ბრალია მისი სიკვდილი? ღვთის ნება იყო, რას იზამ!

ჩიქორა.

## ხან ასე—ხან ისე



— კიდევ ზარმაცობ? უკანასკნელი გინდა გამოხვიდე? ეგეთი შვილი მე არ მინდა!

— რაო, კიდევ წიგნი? მე სწავლული მოჯამაგირე არ მინდა... გესმის?!

## ჩვენი ფოსტა

ხარაზს (ლელვანი)—თქვენი ლექსი ასე იწყება და თავდება კიდეც:

„არ ვარ პოეტი,
„არ ვარ მწერალი,
„არ შემიძლია ბრძნულის დაწერა“!..

მოდა, რაზე იწუხებ, ბიძია, თავს? კარგი ხარზობა არ სჯობია სისულელეების წერას?!

ნიბლიას (ღრმა-ღელე)—ნიბლია მოთხრობას გვიგზავნის და თანაც გვაშინებს: „თუ ამას დამიბეჭდავთ, კიდევ გამოგიგზავნითო“.

რათ გვემუქრები, შე კაი კაცო? თუ ასეა საქმე, არ დავბეჭდავთ და ის იქნება!

ნატვრის თვალს (ლაილაში)—გვწერთ: „გიგზავნით მოთხრობას. სიხარულით ვეღი იმ დროს, როცა დაიბეჭდება“-ო...

იცოცხლე ასე სიხარულით ათას წელიწადს!

ბ. გ—ძეს (თელავი)—თქვენი ნახატი ხან ასე შევატრიალეთ, ხან ისე. ვერ გავიგეთ: თხა არის, თუ კაცი? თქვენი პორტრეტი ხომ არ არის?

ციცუნიას (ხონი) დაიბეჭდება.

შავკანიანს (ხაშური)—თქვენი „მხიარული ამბავი“ ხალმე გასვენებაში წაიკითხეთ. სატირალში უფრო გამოდგება. კაცს კი არა, ქვას აატირებს!

წვერიანს (ძიმითი)—წვერიანი გვწერს: „მთელ რაიონში მასხარას სახელი მაქვს გავარდნილიო“.

ამით ამაყობ ვაჟკაცო? შეგარცხვა წვერიცა და ულვაშიც!

კუს მელიას, მ. ველისპირელს, იოდს—არ დაიბეჭდება. სხვა რამე გამოგვიგზავნეთ.

მ. მაჩაბლიას—დაიბეჭდება.

82
1929



სიმღერით მოდის ლაშქარი,
ყველას ატყვია მხნეობა.
კიდით-კიდემდე გუგუნებს
მუშურ-გლეხური დღეობა.

სოფლად გლეხობა აშლილა,
ქალაქში ყველა მშრომელი.
ქვეყნიერებას ეძება
ზეიმი დაუცხრომელი.

სოფლის მტერი და ორგული—
ვინც ბოროტი და ხარბია...
ოქტომბრით ზარდაცემული
სადღაც—ჯანაბას გარბიან!